

აუდიტორული კომპანია უნივერსალ კონსალტინგი

დამოუკიდებელი აუდიტორის

დასკვნა

შპს „მაჭახელა-სამიკიტნო“-ს

დამფუძნებელს, დირექტორს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მაჭახელა-სამიკიტნო“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „მაჭახელა-სამიკიტნო“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ შპს „მაჭახელა-სამიკიტნო“-ს იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც წარმოდგენილია საქმიანობის მიმოხილვის სახით და შედგება აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლებისაგან. საქმიანობის მიმოხილვა არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან

დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „მაჭახელა-სამიკიტნო“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „მაჭახელა-სამიკიტნო“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „მაჭახელა-სამიკიტნო“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის

დასკვნაში ყურადღების გამახვილება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „მაჭახელა-სამიკიტნო“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვაგვარად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და ხელმძღვანელობას ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყოს, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება შპს „მაჭახელა-სამიკიტნო“-ს მიერ წარმოდგენილი, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული, მმართველობითი ანგარიშგების ნაწილის - „საქმიანობის მიმოხილვა“, ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობის შემთხვევაში მივუვუთითოთ მათ არსზე.

ჩვენი აზრით, შპს „მაჭახელა-სამიკიტნო“-ს საქმიანობის მიმოხილვა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

აუდიტორი

იოსებ ჯინჭარაძე

Saras -F-165195

29.09.2018წ.

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	2
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	5
2. მომზადების საფუძველი.....	6
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	6
4. ახალი სტანდარტები.....	10
5. შემოსავალი სარესტორნე მომსახურებიდან.....	12
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	14
7. იჯარის ხარჯი.....	14
8. კომუნალური გადასახადები.....	14
9. სამეურნეო ხარჯი.....	14
10. დებიტორული დავალიანება.....	15
11. მარაგები პერიოდის ბოლოს.....	15
12. ძირითადი საშუალებები და ცვეთა.....	16
13. კრედიტორული დავალიანება.....	17
14. მოკლევადიანი სესხი.....	17

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2016
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ნაღდი ფული და ექვივალენტები		749,442	361,476
დებიტორული დავალიანება	10	1,116,241	807,135
სასაქონლო მარაგები	11	764,124	388,547
წინასწარ გაწეული ხარჯი		-	9,247
ავანსები		2,332	2,753
სხვა მისაღები თანხები		-	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-
მთლიანი მიმდინარე აქტივები		2,632,139	1,569,158
პირითადი საშუალებები	12	1,010,660	727,512
ინვესტიციები		-	-
გადავადებული გადასახადები		-	-
სხვა აქტივები		-	-
მთლიანი აქტივები		3,642,799	2,296,670
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	13	2,214,603	1,135,648
მოკლევადიანი სესხები	14	589,836	279,400
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		-	-
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები		2,804,439	1,415,048
სხვა ვალდებულებები		-	-
გრძელვადიანი სესხი		-	-
გადასახადების დავალიანება		214,828.00	119,592.00
მთლიანი ვალდებულებები		3,019,267	1,534,640
საწესდებო კაპიტალი		-	-
აქციები		-	-
აქტივების გადაფასების რეზერვი		-	-
სხვა რეზერვები		-	-
მიმდინარე პერიოდის მოგება		545,713	1,136,835
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		77,819	(374,806)
მთლიანი კაპიტალი		623,532	762,029
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		3,642,799	2,296,670

დირექტორი

/დimitრი ელიზბარაშვილი/

საქმიანობის შედეგები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა

		2017	2016
		21,963,893	16,646,771
შემოსავალი			
სარესტორნო მომსახურება	5	21,598,334	16,326,385
ფრენჩაიზინგი და სხვა შემოსავლები		39,769	29,001
ექსკლუზივი და სხვა შემოსავლები		64,394	68,034
ნედლეულის რეალიზაცია (დღგ-სგან თავისუფალი)		225,244	223,351
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია და სხვა შემოსავლები		36,152	-
გაყიდული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება		15,371,626	10,990,900
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	11,407,008	8,400,663
პერსონალის ხელფასი		3,964,619	2,590,237
მთლიანი მოგება		6,592,267	5,655,871
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი		5,548,325	4,015,707
ადმინისტრაციის ხელფასი		269,875	180,000.00
იჯარა	7	2,650,178	1,918,914.00
დაცვა		30,406	25,952.00
კომუნიკაცია		19,830	13,861.00
კომუნალური	8	975,744	720,801.00
მიწოდების სხვა ხარჯები		156,295	171,303.00
საწვავი		21,495	11,158.00
რემონტი		141,494	66,518.00
დაზღვევა		7,879	5,779.00
სამეურნეო	9	525,633	394,909.00
ბანკის მომსახურების საკომისიო		162,720	100,939.00
საკანცელარიო		80,394	-
ჭურჭელი და სხვა მცირეფასიანი ინვენტარი		223,932	107,295.00
საკონსულტაციო მომსახურება		66,102	66,102.00
სხვა დამხმარე მასალები		11,436	30,811.00
სხვა ხარჯები		-	-
მთლიანი საოპერაციო ხარჯი		5,548,325	4,015,707
საოპერაციო მოგება		1,043,942	1,640,164
ცვეთა და ამორტიზაცია		391,716	303,317
დარიცხული პროცენტები		47,218	-
წმინდა საოპერაციო მოგება		605,008	1,336,847
არასაოპერაციო მუხლები		(59,294)	(1,526)
შემოსავლი გადაფასებიდან		4,657	(1,892)
მიღებული პროცენტები		9,457	4,283
სხვა არასაოპერაციო ზარალი, გადაფასება (სესხის ვალდებულება მ.შ.)		(73,409)	(3,917)
მოგება გადასახადებამდე		545,713	1,335,321
მოგების გადასახადი		-	198,486
საანგარიშო პერიოდის მოგება		545,713	1,136,835

/დირექტორი ელიზბარაშვილი/

დირექტორი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება**2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

	2017	2016
ფული პერიოდის დასაწყისში (ლარი)	361,476	186,336
შემოსავლები:		
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები სალაროში	19,577,359	15,634,416
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები ა/ა-ზე	5,989,921	3,666,337
სულ შემოსული თანხები	25,567,281	19,300,753
გასავალი საქონლის შეძენაზე:		
შესყიდვები (პროდუქტი 1)	11,879,924	9,103,028
დახმარე პროდუქტები	272,286	336,647
სულ შესყიდვები	12,152,210	9,439,675
საოპერაციო ხარჯები:	11,704,592	8,429,195
სახელფასო ხარჯები	3,375,748	2,822,821
მომსახურება	307,664	108,257
ქირა	2,916,542	2,134,215
კომუნალური ხარჯები	1,112,946	860,100
საბანკო მომსახურების ხარჯები	162,697	100,920
დაზღვევა	7,221	6,394
რემონტი	286,811	127,599
სამეურნეო	622,204	368,947
საკანცელარიო	105,534	33,464
სხვა ხარჯი	10,770	6,620
გადასახადები	2,796,454	1,859,858
სულ გაცემული თანხები	23,856,802	17,868,870
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	1,710,479	1,431,883
ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა	872,286	381,582
კაპიტალური ხარჯები	-	38,213
დივიდენდი	650,000	1,120,632
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან:	(1,522,286)	(1,540,427)
ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან		
სესხის მიღება	235,059	279,400
სესხის პროცენტის დაფარვა	47,218	-
გადაფასება, კონვერტაციის საკომისიო	2,475	1
სესხის პროცენტის მიღება	9,457	4,283
საკუთარი კაპიტალის ზრდა	-	-
სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	199,773	283,684
ფული პერიოდის ბოლოს	749,443	361,476

/დიმიტრი ელიზბარაშვილი/

დირექტორი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	გადაფასების რეზერვო	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		745,827		745,827
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		1,136,835		1,136,835
დივიდენდები		(1,120,632)		(1,120,632)
კაპიტალის შემცირება				
დაუფარავი ზარალის გაუქმება				
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		762,030		762,030
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		762,030		762,030
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		545,713		545,713
დივიდენდები		(684,211)		(684,211)
კაპიტალის შემცირება				
დაუფარავი ზარალის გაუქმება				
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		623,532		623,532

/დირექტორი ელიზბარაშვილი/

დირექტორი

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მაჭახელა“ (შემდგომში - „კომპანია“) დაფუძნდა 2011 წლის 23 თებერვალს, ამავე დღეს გაიარა სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია და მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი 404889750.

შპს „მაჭახელა-სამიკიტნო“-ს საქმიანობის ძირითადი მიმართულება არის საზოგადოებრივი კვება, რომელიც წარმოდგენილია რესტორან „მაჭახელა-სამიკიტნოს“ ქსელით თბილისსა და ბათუმში.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შახტა ლაბორატორიის მიმდებარედ.

ფაქტობრივი მისამართია: თბილისი კოსტავას 71.

კომპანიის თავდაპირველი დამფუძნებლები არიან: 1. **დავით ინგოროყვა** (პ.ნ. 01008001527) – 50 % წილით; 2. **ვანო სტურუა** (პ.ნ. 01026001882) – 50 % წილით;

კომპანიის თავდაპირველი დირექტორია დიმიტრი ელიზბარაშვილი (პ.ნ. 01009007448).

2011 წლის 14 მარტს შეიცვალა დირექტორი და დაინიშნა **არჩილ მიქანაძე** (პ.ნ. 010260018820).

2011 წლის 07 დეკემბერს შეიცვლილი იქნა კომპანიის სახელი და დაერქვა „მაჭახელა-სამიკიტნო“.

2012 წლის 21 მაისს დავით ინგოროყვასგან მის მფლობელობაში არსებული სრული წილი 50% შეიძინა **ვანო სტურუამ** და გახდა 100% წლის მფლობელი და ერთპიროვნული დამფუძნებელი.

2012 წლის 27 სექტემბერს ცვლილება და დირექტორად დაინიშნა კვლავ **დიმიტრი ელიზბარაშვილი**.

2012 წლის 27 სექტემბიდან 2018 წლის იანვრამდე ცვლილება აღარ განხორციელებულა და **ვანო სტურუა** ფლობს წილის 100%-ს, საქმიანობას კი მართავს დირექტორი - **დიმიტრი ელიზბარაშვილი**.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, დამრგვალებულია უახლოეს ერთ ლარამდე გარდა სხვაგვარად აღნიშნულისა.

წინამდებარე ანგარიშგება ჯერ არ არის დამტკიცებული კომპანიის პარტნიორის მიერ პარტნიორთა კრებაზე. კომპანიის პარტნიორს უფლება აქვს წინამდებარე ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანის, ანგარიშგების გამოშვების შემდგომაც.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1. უცხოური ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისათვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ფულადი ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.2. ძირითადი საშუალებები

3.2.1. აღიარება შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რასაც კომპანია მიიჩნევს რეალურ ღირებულებად. ძირითადი საშუალებების ღირებულება მცირდება დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად.

ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში შეიტანება (ა) მისი ნასყიდობის ფასი, სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლებით; (ბ) ნებისმიერ დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ძირითადი საშუალების დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან; (გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯები; ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილის ცვლილების (შეცვლის/გამოცვლის) შემთხვევაში ხდება ასეთი ნაწილის აქტივად აღიარება დამოუკიდებელ ძირითად საშუალებად სასარგებლო გამოყენების კონკრეტული ვადით და შესაბამისად ერიცხება ცვეთა.

3.2.2. ცვეთა

ცვეთის გაანგარიშება ხდება ცვეთის წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვან კომპონენტს ერიცხება ძირითადი საშუალებისაგან განსხვავებული ცვეთა, თუ ამ კომპონენტს აქტივისაგან (რომლის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს ის) განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს.

მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხორციელდება.

აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით შეადგენს:

- | | |
|---------------------------------------|----------|
| • აღჭურვილობა | 4 წელი; |
| • ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5 წელი; |
| • მანქანა დანადგარები | 8 წელი; |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 10 წელი; |
| • იჯარით არებული ქონების კეთილმოწყობა | 5 წელი; |

3.2.3. აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება: ა) გაყიდვის შემთხვევაში; ან ბ) როდესაც მისგან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი შეიტანება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

3.3. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, მათი შეძენისას, აღირიცხება პირველადი ღირებულებით, რომელიც მცირდება მათი გამოყენების ვადის საფუძველზე გაანგარიშებული ამორტიზაციის თანხით.

3.4. მარაგები

3.4.1. აღიარება და პირველადი შეფასება

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან, წარმოებასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრა ხდება თვითღირებულების გაანგარიშების „საშუალო შეწონილი“ - მეთოდის გამოყენებით.

3.5. ფინანსური ინსტრუმენტები

3.5.1. აღიარება და პირველადი შეფასება

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება იმ მომენტიდან, როდესაც კომპანია გახდა ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რაც კორექტირდება (იზრდება) ფინანსური ინსტრუმენტის გარიგებაზე პირდაპირ მიკუთვნებადი დანახარჯებით.

3.5.3. აღიარების შეწყვეტა

აქტივის აღიარება წყდება იმ შემთხვევაში, თუ (1) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის ან/და (2) ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებლო უფლებებს გადაეცემა სხვა პირს ან/და (3) მართალია კომპანია ინარჩუნებს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებლო უფლებებს, თუმცა იმავდროულად იღებს სახელშეკრულებო ვალდებულებას ეს ფულადი ვალდებულებები გადაუხადოს სხვა პირ(ებ)ს.

ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. (1) ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, (2) გაუქმდება ან (3) ვადა გაუვა.

3.6. ავანსები

ავანსების აღრიცხვა ხდება პირველადი ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გაუფასურების თანხებით.

3.7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს (მ.შ. საბანკო ანაზღაურებზე არსებულ ნაშთებს).

3.8. გადასახადები

3.8.1. საგადასახადო აქტივი / საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო აქტივი და, შესაბამისად საგადასახადო ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილ, შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებით გადასახდელ საგადასახადო ვალდებულებ(ებ)ის (გადასახადი, საგადასახადო ჯარიმა/საურავი) თანხებს.

3.8.2. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს - 15%-ს. 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადით იბეგრება ფიზიკურ ან/და არარეზიდენტ პირებზე დივიდენდის სახით გაცემული მოგება და შეადგენს განაწილებული მოგების 15%-ს (ესეიგი განაწილებული დივიდენდის თანხის 15/85-ს).

მოგების გადასახადი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში აღირიცხება ვალდებულებად და შეიტანება ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

3.8.3. დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების განაკვეთი შეადგენს 18%-ს. დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგრას ექვემდებარება საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა.

შემოსავლებისა და ხარჯების, ისევე როგორც შეძენილი მომსახურების/აქტივების, აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამატებული ღირებულების გადასახადი ჩათვლას არ ექვემდებარება.

3.9. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და დაგროვილ მოგებას/დაგროვილ ზარალს.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში ხორციელდება პარტნიორთა კრების ოქმის ან/და წესდებაში ცვლილების შეტანის დოკუმენტის საფუძველზე.

დაგროვილი მოგება/ზარალი მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებული მოგება/ზარალის თანხას.

დივიდენდები აღირიცხება ვალდებულებად იმ საანგარიშო პერიოდში, რომელშიც ის გამოცხადდა.

3.10. შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს მომავალი ეკონომიკური სარგებლის ზრდა გამოწვეულია აქტივების ზრდით ან ვალდებულებების შემცირებით და მისი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია:

საქონლის მიწოდების და/ან მომსახურების გაწევის შემთხვევაში, შემოსავლის აღიარება ხდება, თუ კომპანიამ შეასრულა გარიგებით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული ყველა პირობა და შესაბამისი თანხა გადახდილი იქნა ან/და ექვემდებარება გადახდას (შესაბამისად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდიდება).

შემოსავლის აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც არ მოიცავს ფასდათმომებს და დამატებული ღირებულების გადასახადის თანხებს.

3.11. ხარჯები

ხარჯები აღიარდება მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, დამატებული ღირებულების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დღგ-ს ჩათვლა არ წარმოებს.

3.13. სხვა საკითხები

3.13.1. სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას გამოიყენება შემდეგი იერარქია:

დონე 1 - სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;

დონე 2 - სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივისა და ვალდებულების;

დონე 3 - სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდებიან.

4. ახალი სტანდარტები

4.1. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით არსებობენ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოცემულია, თუმცა ძალაში არ არის შესული. კომპანია მოახდენს მათ (საჭიროებისამებრ) გამოყენებას ძალაში შესვლის შემდგომი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებში.

4.2. ფასს 9: „ფინანსური ინსტრუმენტები“

ფასს 9 („ფინანსური ინსტრუმენტები“), რომელიც (სავალდებულოდ) მოქმედებს 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგებ(ებ)ისთვის, არსებით გავლენას ახდენს აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე.

ფასს 9 ასევე ავალდებულებს საწარმოს განსაზღვროს „მოსალოდნელი ზარალი“ ფინანსური აქტივების გაუფასურებიდან.

ფასს 9 („ფინანსური ინსტრუმენტები“) არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4.3. ფასს 15: „შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

ფასს 15 („შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“), რომელიც (სავალდებულოდ) მოქმედებს 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგებ(ებ)ისთვის, ადგენს ახალ, ხუთეტაპიან მოდელს კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან მიღებული/მისაღების შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებით.

ფასს 9 („ფინანსური ინსტრუმენტები“) არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4.4. ფასს 16: „იჯარა“

ფასს 16 („იჯარა“), რომელიც (სავალდებულოდ) მოქმედებს 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდების ფინანსური ანგარიშგებ(ებ)ისთვის, ადგენს ახალ მოთხოვნებს იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით და მოითხოვს, რომ იჯარა (მოკლევადიანი და მცირეფასიანი საგნების გარდა) აღირიცხოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც აქტივი გამოყენების უფლებით და როგორც ვალდებულება. ფასს 16 („იჯარა“) ასევე ცვლის იჯარის განმარტებას, ადგენს ახალ რეგულაციას როგორ აღირიცხოს არასაიჯარო ელემენტებიც, ცვლადი იჯარის გადასახადი და ოფციის პერიოდი, ცვლის აღრიცხვის რეგულაციებს რეალიზაციისა და უკუიჯარის გარიგებებზე, ასევე ახალ მოთხოვნებს ახსნა-განმარტებითი შენიშვნების კუთხით.

5 2017 წლის შემოსავალი სარესტორნე მომსახურებიდან

შემოსავლები მოცემულია რესტორნების მიხედვით

	შემოსავალი	შენიშვნა
1 მაჭახელა კოსტავას #77	513,878.96	
2 მაჭახელა არაყიშვილის #5	29,958.09	დაიხურა მარტში
3 მაჭახელა ლესელიძის #26	446,516.75	
4 მაჭახელა წერეთლის #77	239,432.41	
5 სამიკიტნო, თუმანიანის #23	7,274,722.39	
6 სამიკიტნო აღმაშენებლის #106	1,630,580.15	
7 სამიკიტნო კოსტავას #77	1,398,320.27	
8 სამიკიტნო რუსთაველის #24	515,237.65	
9 სამიკიტნო ბათუმში	1,210,471.81	
10 სამიკიტნო პუშკინის #5-7	2,062,791.54	
11 სამიკიტნო ყაზბეგის # 26	552,900.08	
12 სამიკიტნო კოსტავას #25	902,799.08	
13 სამიკიტნო წერეთლის მეტროს მიმდებარედ	735,649.52	
14 სამიკიტნო აწყურის #45	738,815.45	
15 სამიკიტნო ვაჟა-ფშაველას #4	698,275.53	
16 სამიკიტნო ხიზანიშვილის #31	1,236,255.45	გაიხსნა მარტში
17 სამიკიტნო მოსაშვილის #11	479,023.81	გაიხსნა მარტში
18 სამიკიტნო ჯავახეთის #16	619,249.50	გაიხსნა მაისში
19 სამიკიტნო ყაზბეგის #46	313,455.81	გაიხსნა ივნისში
20 სულ შემოსავალი	21,598,334.24	

5 2016 წლის შემოსავალი სარესტორნე მომსახურებიდან

შემოსავლები მოცემულია რესტორნების მიხედვით

	შემოსავალი	შენიშვნა
1 მაჭახელა კოსტავას #77	588,738	
2 მაჭახელა არაყიშვილის #5	162,639	
3 მაჭახელა მარჯანიშვილის #16	88,534	დაიხურა ოქტომბერში
4 მაჭახელა ლესელიძის #26	439,062	
5 მაჭახელა წერეთლის #77	228,485	
6 სამიკიტნო, თუმანიანის #23	6,075,242	
7 სამიკიტნო აღმაშენებლის #106	1,316,633	
8 სამიკიტნო კოსტავას #77	1,287,727	
9 სამიკიტნო რუსთაველის #24	487,853	
10 სამიკიტნო ბათუმში	1,462,019	
11 სამიკიტნო პუშკინის #5-7	1,765,258	
12 სამიკიტნო ყაზბეგის # 26	560,295	
13 ნაყინი კოსტავას #77	1,018	დაიხურა თებერვალში
14 სამიკიტნო კოსტავას #25	834,735	
15 სამიკიტნო წერეთლის მეტროს მიმდებარედ	558,473	
16 სამიკიტნო აწყურის #45	378,598	გაიხსნა მაისში
17 სამიკიტნო ვაჟა-ფშაველას #4	91,073	გაიხსნა ნოემბერში
18 სულ შემოსავალი	16,326,385	

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

თვითღირებულების ძირითადი შემადგენელი ნედლეულია: ნედლი ხორცი, ყველი, ბოსტნეული.

თვითღირებულებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასმელებს, რაც მოიცავს: არაყს, ლუდს, ღვინოს, ლიმონათს, წვენს. მცირე წილი უკავია დანარჩენ ალკოჰოლურ სასმელებს.

